

# ზინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.



№ 16.

თბილისი, აპრილი 26, 1909 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 2 $\frac{1}{2}$  მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეცკით.

ადრისი: ქუთაისი „ზინაური საქმეები“ რედაქცია.

**ზინაურის** ქუთაისი 19 აპრილი; ვაი ჩეენი ბრალი—№-სა; რას ჩავდივართ?—ივერიელისა; ქართველი გლეხის შვილი—ხომელისა; ღია წერილი იმერეთის სამღვდლოებს—გ. შარაბიძისა; სახარების სიდიადე—ე. ჩ.—ძისა; ქუთაისში აკაკის დღესასწაულზე დამსწრე ქაქუჩა გლეხის ნაამბობი—ქვაციხელ-საბაელოსა; შემოწირულობანი.

## ყოველკვირული გაზეთი

### „ზინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საებარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 $\frac{1}{2}$  მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ლებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ათათაისი 19 აპრილი.

უწმინდესი სინოდი შეჭკითსებია სსა ქართველოს სამღვდლოებს, რამდენათ სასურველია საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლებში. ეს საკითხი ეხლა წინ უდევს განსახილველად იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების კრებას და მოელის მისგან ყოველ ძხრივ მოსაზრებულ და ბრძნულ მხსუსს. ამისათვის შეტად არ მივკანხია, რომ ამ საკითხზე ჩვენი აზრიც გაუუზიაროთ სასოკადოებს, რომელსაც ს.მშობლო ენა და ქრისტიანული სარწმუნოება ბერების კამო-

კონილ მსსსრობათ არ მიანხია. ბევრს, შეიძლება, ეს საკითხი დღეს შეტად მიანხდეს, — დღეს, როცა ჭინძაც კი ზოლიტიკაზე დაიწყო ღანაზრავი; როცა სწარსეთში და ოსმალეთში ასეთი დიდ-მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა, ბევრს „ხაკონბოტის“ საკითხს ერთი კაცი ტელეგრაფით ურჩევნია შესახებ სათარხანის მოქმედებისა. მაგრამ ჩვენ ამისთანებისთვის არ ვსწერთ. ჩვენ სახეში ვუვანან ისეთი ზირები, ვისაც ღმერთი მამონახე არ გაუტყვლია, ვისაც კიდევ სწამს ეროვნება და უუვარს თავისი სსმშობლო და მისი ენა. კმარა, რაც მოვისმინეთ შესახებ სამშობლოს, ენის, ეროვნების და სარწმუნოების უარ ყოფისა ჩვენ მოუძწიუებელ დიპლომატებისაგან. დროა ოჯახს მივხედოთ, თორემ თავის სიკეთეს ჩვენ არავინ ვაკვიზირებს და მამინ, როდესაც სხვა ერები დაწინაურდებიან, ჩვენ ან სრულიად მოვისშობით, ან გადავკვარდებით. ვისაც სამშობლო და ერი არა სწამს, ის ნურც ქადაგობს იქ; ან რა ნიადვი აქვს მის ქადაგებას? მართებლობა უუვარს



და ეოკელთვის კონსერვატიული ეოკი-  
 ლა და იქნება; მაგრამ არის მომენ-  
 ტი, როცა იგი შეგნებულად თუ შეუგ-  
 ნებლად, ნებით თუ უნებურად თანხმდება  
 ამა თუ იმ რეფორმების შემოღებაზე სალ-  
 სის ცხოვრებაში. სასოგადოების განვი-  
 თარეულ ნაწილის საქმეა ეს მომენტი  
 შენიშნოს და მით ფართოდ ისარკებლოს.  
 ასეთი მომენტია ესეც, როცა სინოდი  
 გვევითხება სასურველია თუ არა საღვთის-  
 ძეტეველო საგნების ქართულად სწავლე-  
 ბაო. ამ ორი საბი წლის წინად, რომ  
 გამოგეთქვა ასეთი გაბედული აზრი, ზო-  
 ლიტეიკურ დამნაშავედ შეგრიცხავდენ და  
 ირკუტსკის გუბერნიამი ვიკრავდენ თავს.  
 ამიტომაც იყო და არის, რომ დაბალ  
 სახალსო სკოლებში, სადაც რუსულად  
 ზურის სახელს ვერ ასწრებენ, სამღვთო  
 სჯულს რუსულ ენაზე ვიჯგნიდენ ამის  
 შესახებ, სმა ვერავის ამოელო, კრანტი  
 ვერ დაემრა. თუმცა გვიან, მაგრამ ესეც  
 მანც შეიგნო უმაღლესმა სასულიერო  
 მთავრობამ დიადი აზრი იმ დიდებული  
 მოვლენისა, როცა მოციქულებმა სული  
 წმიდის ძალით დაიწვეს უცხო ენებზელა-  
 ვარაკი. მართლმადიდებელი ეკლესია და მი-  
 სი მოძღვრები ეოკელთვის იმ აზრისა  
 იუვენენ, რომ სარწმუნოებას თავის მიხანი  
 აქვს, რომელიც განსხვავდება სასელმწი-  
 ფოებრივ მიხნისაგან. სარწმუნოება უნ-  
 და ამზადვდეს ადამიანს სასუფეველისა-  
 თვის, ამადლებდეს მას ზნეობით, ზრდი-  
 დეს სულიერად აღფთავებრივადეს კაცო-  
 ბრივ ბუნებას, ამყარებდეს ქვეყანაზე სა-  
 სუფეველს და ამ მიხნის მისადწვევად სარ-  
 გებლობდეს უმახლობელესი გზებით, რო-  
 ძელთა შორის ზირველი ადგილი უჭი-  
 რავს სამშობლო ენას. ეს გზა თვით სალ-

ვთო განცხადებამ გ. ანუწვა და ამის უბრის  
 ეოფას ბევრა არა სასურველი და ზირდა-  
 ზირ მავნებელი შედეგი მოყვება, როგორც  
 უკვე ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში.

მაგრამ, როგორც მოგვსენებიათ, დღე-  
 ვანდელი ეკლესია სასელმწიფომ ჩაელა-  
 ზა და თავის საამქვეყნო მიხნების მისად-  
 წვევ საშუალებად განისადა. ამიტომაც არის,  
 რომ ჩვენი ივერიის ეკლესიის მმართვე-  
 ლი იერარქები—ექსარხოები ასე თავ-  
 გამოდებით იცავდენ საღვთისძეტეველო  
 საგნების რუსულად სწავლას, რომლი-  
 თაც უნდოდანთ მიეღწიათ ერთ უმთავ-  
 რეს ზოლიტიკურ მიხანს—ქართველების  
 გარუსებას. გარუსებით კი ვერ განარუ-  
 სეს ქართველები, მაგრამ სარწმუნოება  
 კი სრულიად დაუკარგეს და ოდესმე  
 მართლ-მადიდებლობისათვის თავდადებუ-  
 ლი სალხი ურწმუნოების და უღვთოე-  
 ბის უფსურელის ზირს დააენეს; და სამ-  
 შობლოსთვის თავგანწირულ მამა-პაპათა  
 შეილები საბრალლო კოსმოპოლიტიად გა-  
 დაქციეს. ასე, რომ დღევანდელი ქართვე-  
 ლი აღარც რუსია და აღარც ქართველი  
 და, თუ მკითხავთ, აღარც კაცი დედამი-  
 წასე მცხოვრები, არამედ რაღაც ოცნე-  
 ბა გაბერილი ჭავრის სულდგმული, რო-  
 ძელსაც ძალა აღარ შესწევს სასარგებლო  
 მუშაკობისათვის.

ასეც დღეს დაეწებული საქმე და აი  
 ამ ბოლოდროს გვაწვდინან იმ გამადა-  
 მიანებელ საშუალებას, რითაც თავიდ-  
 განვე უნდა გვესარგებინა—გვესარგებინა  
 ფართოდ, და ეოკლად შეუზღუდევლად,  
 თავისუფლად არა მარტო საღვთისძეტ-  
 ეველო საგნების შესწავლისთვის, არამედ  
 ეოკელ საგნის შესწავლისთვისაც, რაც  
 კი შესაძლებელი იქნებოდა და არა მარ-

ტო სასულიერო ს.სწავლებლები, არა მდელ უოველ სასწავლებლებში.

მართლა, რას ნიშნავს ეს სასულიერო სასწავლებლის გამოთიშვა სხვა სასწავლებლებთან? თუ სამღვთო სჯული სიძლიერით სჯულია, უნდა ვიფიქროთ, თანაბრად საქმობა ყველა ქრისტიანეთათვის, სადაც უნდა სწავლობდეს იგი გიმნაზიაში თუ სემინარიაში. თუ იმას ვიტყვი, სასულიერო სასწავლებლებიდან მღვდლები გამოდიანო, ნუ თუ მარტო მღვდელთა ვადრებულთაა იცოდეს სჯული? ნუ-თუ გიმნაზიელი ისეთივე ძვირფასი არ არის ღვთისათვის, როგორც სემინარიელი?! დეე, იმანაც სამშობლო ენაზე გაიგონოს და შეისწავლოს უკვდავი, სამარადისო მოძღვრება მაცხოვრისა! ეს ზიანს, ვიტირობთ, არ მოუტანს მის გონებრივ და მით უფრო სწავლებას ადრდას? მაგრამ ჰგავს თელათ ვერ ეუბნებიან უარს თავის ერთხელვე არჩეულ მრედე გზას. ჩვენ კი რაც შეიძლება, რაც ძალი და ღონე გვაქვს, რა თქმა უნდა სწავლებით და არა ფიზიკურით, უნდა ვეცადოთ საღვთო საგანი არ ვახდეს საერო მიზნების მისაღწევ საშუალებად და ისწავლებოდეს იმ ენაზე, რომელიც უფრო განსაკუთრებით მოსწავლისათვის.

ვინც ერთ დღეს მინც უოფილა „საკონსტიტუციონალი“ განსაკუთრებით დაბალ კლასებში, ის ადვილად წარმოიდგენს იმ ტანჯვა-წვალებას, რომელსაც განიცდის მასწავლებელიც და მოსწავლეც სამღვთო სჯულის რუსულად სწავლის დროს. ეს ქალაქში, სადაც ბავშვის უური ასე თუ ისე ცოტა შეჩვეულია რუსულ ენას და რა იქნება სოფლის სკოლაში, განსაკუთრებით სამინისტროში, სადაც სამშობლო

ენის სმარება ადრდალუა. ადვილი წარმოსადგენია, რა სწავლებას იქონიებს ქართველი ბავშვის გულზე რუსულად ვადაცემელი იგავი მოწველე სამარტიტელზე, ან შემდრწუნებელი თავის სამინებლებით ჯვარცმა ქრისტესი და არა ადამიანური ქცევა მწიგნობართა და მღვდელთაგანთა. ერთი სიტყვით სამღვთო სჯულის რუსულ ენაზე სწავლების გამო სულ განათილებულია ამ საგნის სწავლებით გაგლეხა და ამ გარემოებას უნდა მიეწეროს განსაკუთრებით ის სამწესწარო მოვლენა, რომ თანამედროვე ვითომდა საღვთისმეტყველო განათლება მიღებული სამღვდელთა ეოვლად უწმუნოა და სწავლებული. ამით თუ არა, სწავლებით შეგვიძლია ავსნათ სეგბზე მოსწავრულე მღვდლების საქციელი ამ ორი საშიშლის წინეთ და მათი ქდაგება სარწმუნოების წინააღმდეგ. ამითვე აისწავება ის არჩვეულებრივი და საქართველოს იტორიაში თითქმის უმაგალითო მოვლენა, როგორიც არის მღვდლობის სარისისის უარყოფა სარწმუნოების უარყოფის ნიშნადგზე, ამოდენა ნახუ, არა საქართველოს არც კი მოსწავლები და რომ ევლათანამედროვე ქართველმა მღვდლებმა ნიღბი ჩამოიხსნას, და თავის რწმენა გამოამტყვევნოს, მგონი განათლებული (!) მღვდელი სულ აღარ დარჩეს ჩვენში. ასეთი ნაყოფი მოიტანა სხვა მიზეზებთან ერთად საღვთისმეტყველო საგნების ვაუკებარ ენაზე სწავლებამ.

ამის შემდეგ რაღა თქმა უნდა, რომ იმერეთის სამღვდელთა კრება სიამოვნებით მიეგება სინოდის წინადადებას და არათუ უარყოფს მას სასულიერო სასწავლებლებს, არამედ მოითხოვს, რომ

ეს სავანი ეველა ქართველთათვის ქართულად ისწავლებოდეს ეველა სასწავლებლებში, როგორც დაბალში, ისე საშუალოში დაც. საქმის ასეთ დაეენებას არავითარი ზიანი არ მოევება არც სასელმწიფოსთვის და არც კერძოთ სამღვდელთებისათვის.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს შეიძლება სამღვდელთება იმაზე შესდგეს, რომ ჩვენ სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულებს დაესურებათ გზა საშუალო და მაღალ სასწავლებლებში შესვლისა. ეს ტყუილი შიძია, თუ მართებლობა არ გაჯიუტდება და განძრახს არ დაგვიხმავეს ამ გზას. მაღალ სასწავლებლებში შესვლისთვის საჭიროა ენის ცოდნა და საშუალო სასოკადო განათლება, რომელ ენაზედაც უნდა იყოს ეს განათლება მიღებული. ამ დებულებით სარგებლობენ უცხო ტომის სტუდენტნი, რომლებიც მიდიან რუსეთის აკადემიაში უმაღლეს საღვთისმეტყველო კურსებზე, მაგ. სერბები, ბოლგარები და ჩეხები, რომელთაცან რამდენიმე ნაწილი ისევ რუსეთში რჩება სამსახურში და საპატო ადგილებსაც იჭერს სხვა და სხვა დაწესებულებაებში. ამითვე სარგებლობს რუსის სტუდენტობა, როცა სახლვარ გარეთ მიდის უნივერსიტეტში კურს დასამთავრებლად. ძამასადამე ამ მხრივ ჩვენ უსრუნველყოფილი ვართ, თუ ვიმეორებთ, მართებლობა განძრახს არ დაგვიხმავეს მაღალ განათლების კარებს, მაგრამ ის ამას არ იხამს, რადგან ცვლილება მისივე თაოსნობით ხდება.

დაგვიჩნია საშუალების გამოძიება, რომელიც უნდა გამოიწვიოს სინოდის აზრით ამ ცვლილების შემოტანამ. მაგრამ აქ ცოტა გასკებრობა უნდა იყოს სინოდის მხრით: ის უთუოდ დარწმუნე-

ბულია, რომ ჩვენ სასულიერო სასწავლებლებში რუსი შეგირდებიც ბლომად სწავლობენ და ამიტომ ჰგონია საჭირო იქნება ორი მასწავლებელი — რუსი რუსთათვის და ქართველი ქართველთათვის. მაგრამ როგორც ვიცით, ჩვენ სასწავლებლებში ერთი რუსიც არ სწავლობს და ძამასადამე რუსი მასწავლებელიც შეტია საღვთისმეტყველო საგნებისათვის და მისი ჯამაგირიც თავისუფალია ქართველ მასწავლებლისათვის. ასეც რომ არ იყოს, უსამართლობა იქნებოდა სინოდის მხრით ჩვენი საეკლესიო ხაზინის ფულით რუსი მასწავლებელი შეგვანახეინოს რუსთათვის და კიდევ ჩვენი საკუთარი ჯამაგირი ვაგვადებინოს უმაწვილეების მოსამზადებლად იმ წოდებისათვის, რომლისთვისაც ეველგან შიდა რუსეთში სასელმწიფო ხაზინის ხარჯით ემზადებიან.

კიდევ ვიმეორებთ და დარწმუნებულებიც ვართ, რომ საქართველოს სამღვდელთება ისარგებლეს ამ მომენტით.

საჭიროთ მიგვანჩია აღვნიშნოთ, რომ გურია-სამეგრელოს სამღვდელთებას უკვე ჰქონდა მსჯელობა ამ სავანზე და აუცილებელ საჭიროებად აღიარა საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება.



**ვანი ჩვენი ბრალი!**

(სურათები ქართველ მღვდელთა ცხოვრებიდან\*).

**VII.**

განათლებულ აზნაურის სახლში ვარ. პარასკევი დღეა. სტუმრებია; სადილით დავსხედით. სხვათა შორის მღვდლებიც არიან. დავიწყეთ სადილობა. მღვდლები ხორცს ღამაზად შეექცვიან. უხვათ მიირთმევენ ღვინოსაც. სიცილ-ხარხარ-ოხუნჯობაშიც ერის კაცებს არ ჩამორჩენენ, აჯობეს კიდევ. შაბათ საღამოა. ადგილობრივი მღვდელიც აქ არის. დადგა ღოცვის დრო, მღვდელი ეკლესიაში არ მიდის. გაიმართა ბანქოობა, მღვდელიც ჩაუჯდა. თავის დროზე ვახშამი გაიმართა, რომელსაც მოჰყვა გრძელი მრავალყამიერი. მღვდელმა თავი იჩინა. ვახშამს შემდეგ კიდევ ბანქო ითამაშეს. მეორე დღეს — კვირას წაველი წირვაზე. მღვდელს სახე ჩაუვითლებული აქვს, ხმა ჩახლენილი. სიტყვებს სიჩქარით, ერთი მეორეზე წარტყმით ამბობს; მას არავითარი კრძალულება არ ეტყობა.

**VIII.**

ერთი საპატრო სასულიერო პირი მთავრობამ სხვა ეპარქიაში გადაიყვანა. ყველა მღვდლები მას აფასებდნენ და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ იგი სრულიად უდანაშაულო იყო. ჩვეულებრივ, ნაცნობ კაცს, როცა იგი სხვაგან მიდის, ეთხოვებიან, პატივს სცემენ და აცილებენ. ამ პირსაც ნაცნობნი ასე უნდა მოქცეოდნენ. გაიმართა მღვდლებში ღამაზა თუ როგორ უნდა ვსცეთ პატივიო. ზოგმა სთქვა: ეს მთავრობას არ ესიამოვნება, გაგვირისხდება, თუ არქიელი ნებას დაგვრთავს, მაშინ მივიღებთ მონაწილეობასო. (დალოცვილება, როცა ღვინის სარდაფში ჩადიან საქეიფოთ, ნეტავ მაშინ რისთვის არ ითხოვენ მთავრობისგან ნებართვა). ზოგმა სთქვა: მისართმევ ხატისათვის მანეთზე მეტს ვერ გამოვიღებთო. ზოგმა მხოლოდ გულში სთქვა: ძალიან საძნელო საქმეა; აიგებს მთავრობა, გაგვიჯავრდება და ჯ ღღობზე არ წარგვადგენსო, და ეს

ოხერი ჯილდოზე წარდგენის დროც რო ეხლა! მაგრამ რა ვქნათ, საზოგადოების რომ გვრცხვენია. ეჰ, რაც იქნება იქნება!" ამ პატიოსან პირის გამოთხოვება-გაცილებას მხოლოდ ათიოდე მღვდელი დასწრო და გამოსათხოვარი სიტყვის თქმაც ვერაფერ გაბედა.\*

**IX.**

ქართველ მღვდელმთავრებმა მოინდომეს ქართველ მღვდლებთან ერთად მისულიყვნენ მისალოცად ერთ ფრიად წარჩინებულ რუსთან, რომელსაც ჩვენ საზოგადო ცხოვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდა. მღვდლებმა სთქვეს: ეგზარხოსის დაუკითხავად როგორ მივიდეთო? ხომ გაიგებს და ეწყინება!" ზოგნი მღვდლები წაყვინენ ეპისკოპოსებს, მაგრამ ვაი იმისთანა წასვლას. მთელი ერთი კვირა არ სძინებიათ; სულ იმის ფიქრში და შიშში იყვნენ, აი ეხლა დაგვიბარებს ეგზარხოსი და დაგვამათრახებსო, გვეტყვის, თუ როგორ გაბედეთ უჩემოთ მისვლა იმ პირთანო.

**X.**

ეგრეთ წოდებულ განმათავისუფლებელ დროის წლებია. ყველანი ძველ წესებს ამსხვრევენ და ახალ, ვითომდა საბედნიერო, წესების შემოღებას აპირობენ. ყველგან ღამაზათ-მოკაზმული სიტყვები გაისმის. ბავშვებიც კი ორატორობენ. სხვებთან ერთად მღვდლებიც ახმაურდნენ, გათამამდნენ. მოინდომეს ავტოკეფალია. ეპისკოპოსები ტახტებიდან გადამოადგეს, გაუმარჯოს თანასწორობასო, საეკლესიო ცხოვრებას თვით მღვდლები უნდა განაგებდნო. დადგა რეაქცია. მღვდლები მოიკაკვენ, ენა მუცელში ჩაუვარდათ, ნამღვილი მონები გახდნენ.

**XI.**

1905 წელია. ყველგან ისმის ხმა: გაუმარჯოს თავისუფლებას, ძმობას, ერთობას, თანასწორობას; ცხოვრების საშვალეებანი ყველას ერთნაირად უნდა ჰქონდეს! მღვდლებიც ამას ამოწმებენ და ლაღადებენ, ღარიბ გლეხ-კაცები გადასახადებიდნ გავათავისუფლოთო; მიღავითნებებსაც შემოსავლიდან შესაძელი მივსცეთო.

\* იხ. „ზინ საქ.“ № 14.

1907 წელია. იგივე მღვდლები მედავითნეებს ეუბნებიან: რას ქვია მესამედი მოკცეთ, როგორც მთავრობის მიერ გადაწყვეტილია, ისე უნდა იყოს, დაკანონებულია მეოთხედი და დაჯერდითო. იგივე მღვდლები პოლიციასთან მილიან და ეუბნებიან, გლახებს ამ და ამ წლების განასახადი არ მოუტოთ და მოკრიბეთო.

№.

(შემდეგი იქნება)



### რას ჩავლივართ?

(გაგრძელება\*)

#### I.

Давайте народу обще человеческое, и смотрите, что онъ способенъ принять, чего не достаетъ ему? Вотъ это угадайте!

*Станкевичъ.*

Мы не должны составлять себѣ сужденія ни о какомъ предметѣ, котораго мы не понимаемъ со всею ясностью и отчетливостью.

*Бокль.*

მივხედოთ ახლა ქართველ სამღვდლოებს. როდის იყო იგი ხალხის უზურპატორი? როდის გადაუდგა იგი გაჭირვებაში მყოფის თავის ერს?! — შემთხვევას ვერ ვამბოვით. ვინ იქნა, როგორც არს ერთხელ აღგებინა მხარე, ქართველი სამღვდლოებს ხანდაილი მანუგეშებელი და ქომპაი იყო თავის ერისა უოკული გასაჭირის დროს. სათუქრებელი იყო, რომ დამონებულ საქართველოს სამღვდლოებს სასტიკი რეჟიმის უედ-გელენით უგანასენელ ხანებში გაეჭვოლა ხალხს; მაგრამ მის და სასახლოდ და სასაჭადულოდ არ დასწია მის სახელოვან მამა-პაპათა ნაანდერძევა დროშა. ამის დასამტკიცებლად ბევრი ღაზაზაქა საჭირო არ არის. რასაცა ასხენ უფრო სძინად, ისმინონ!! ნუ თუ დადებულნი კმისკომისნი, მეცნიერნი და ქველმოქმედნი: გაბრიელი, ალექსანდრე, ლეონიდა და კო-

\* იხ. № 5. საქ. № 15.

როანი იმისთვის იცავენ ქრისტეს საწმუნოებას, რომ ეს ვინადათ მათი კეთილდღეობისათვის იყო და არის საჭირო? უკუღმართობა და სიყალბე ასეთის აზრებისა მათმასიდარბემ, უსკმა შეწირულება და გონივრულმა ბრძოლამ მთელი ერის საკეთილდღეოთ დაამტკიცოს; ჩვენ არის ვიტყვი მათზე, მათი ცხოვრება და მათი მოქმედება დადადებენ წინააღმდეგ საუკუღმართოდ მომართულ ენების.

ბ. იგანე გომართელი და მისი ამქარი ესათხა წელიწადის რაც დაყენებით იძახის: ა. ქრისტეს საწმუნოება გამოთიტდა, მას დაეკარგა ძალა და უოკულად შეუძლებელია, რომ ამ საწმუნოების და ეკლესიის საშეალებით გარს შემოიკრიბოს ხალხი სამღვდლოებსამო. ამ გზას ე. ი. ხალხის დამხობისას და ძარცვა გლეჯისას, აშობს გომართელი, ადგია დღეს სამღვდლოებს... ხალხი გამოთხიხლდა, თალები გაახილა, დაინახა უოკელი იეს, გადაუდგა სამღვდლოებს და ის თავის მტრად გამოაცხადაო. (ივერია 1905 წ. № 130)

აქედან სჩანს რომ ა. გომართელი ღაზაზაკობს მთელი ერის ვინაით, ასე რომ ქართველ ერს რომ ჰკითხოთ საწმუნოების და სამღვდლოების შესახებ ისეთი პასუხი უნდა მიიღო, როგორც იმდღეს გომართელი. მაგრამ ეს ასეა თუ არა თვითონ სცადე, ჩემო მეითხველო, უფრო ათხოვე საზოგადოებას, თალები მიმალე ჩვენს ქვეყანას და შემდეგ უოკელი იეს ნახის და შესმენის დარწმუნდი გომართელის მიერ შემოხრილ სობრძეშა. და თუ აღნიშნული ეჭობი თავის წრის მოსაზრებებს და შესხედულებას გაწვდის ქართველი საზოგადოების სასელით, ეს სომ დიდი შეცდომა და დანაშაულია არა მკითხე მოსაზრებას!! გაბედულობა თუ გინდა, აი ეს არის! ჩვენი ე. ი. ეხება მთელი ერის გულის პასუხს, სულის კვეთას და თავისებურად ავირებს. და ასეთი საქციელი ისე აღვილია მისთვის, როგორც მის მიერ მოხდენილი ომურადი აკათმოფის მუწუკებზე. მაგრამ შესდევით, ხალხის ზნეობას უფროთხილდით და თქვენ დამზად საქონელს ნუ ასაღებთ მის სასელით, თორემ მიგიხდება ოდესმე და პასუხს მოკთხოვთ...

ახალხი გამოთხიხლდა, თალები გაახილა... გადაუდგა სამღვდლოებს და თავის მტრად გამოაცხადაო. უფრო სიმართლე აქნებოდა, რომ ასე ეთ-

ქვა გომართელს: „ხალხი გადაუჩვენეთ სამღვდელთ-  
ბას და თავის შტრად გამოკაცხადებინეთ იგიოქო.“  
ეს სინამდვილე იქნებოდა. მაგრამ ქვანდა ამის უფ-  
ლება გომართელს თუ არა? და ან როგორ სამსა-  
ხურს უწევდა იგი ხალხს, როცა სამღვდელთებს;  
და ხალხს აძულებდა ერთმანეთს?

ჩვენ თუ გვიკითხავთ, თუ რა უნდოდა ხალხს.  
როგორც მასთან ახლო მდგომი, გიბასუხებთ: მას უნდა  
თავის ერთგუების, ენის და ტერიტორიის შტვი-  
რად დაცვა, მას სურს ესამართლებების და ძალ-  
მომრეობის მოსპობა, ჭეშმარიტი ერთობა, შეძლების  
და გარდა გადასახადების შემსუბუქება, უფასო  
სწავლა-განათლების შემოღება, გონებრივად, ზნე-  
ბრივად და ნივთიერად თავის ერთგულების გა-  
უმჯობესება. ხოლო რაც შეეხება ეპისკოპოსს და  
სარწმუნოებას ქართველი ერთი მტრულად არ შეხე-  
ბია, და არც ფაქტობს შეხოს, ამ სიწმიდეს. თუმი-  
ცა სიმათლე მოათხოვს, ზოგიერთს ძლავთ ათ-  
ქმეიერს გმობს სარწმუნოებისა. და რომ ეს მარ-  
თაღია ამის დასამტვიცებლად თვით ერის სულის  
კვეთებაზე და სარწმუნოებრივ მისწრაფებაზე მიჯა-  
თითებ, რომელსაც უკველი მიუდგომელი მეთაფ  
უწუ ხედავს დღეს რსოვრებაში. თუ ეი ამასაც არ  
დაიფურებს მოწინააღმდეგე მხარე სინჯის განცხა-  
დებელი, ამჟამად, და არა ფარული და თვალთ-მაქ-  
ცური, როგორიც იყო, უდმრთების შრომაგანდა  
და ხახოს როგორ ვხეუხს მიიღებს ერისაგან!

როგორც სჩანს წიგნაკიდან, ღვთაე-  
ბას ძლიერ გაუბნის ავტორი; უკველივე ის,  
რასაც აზნის ბეჭედი ღვთაებრიობისა, სიძვს მას  
და ამ მოსახრებათ, თუმიცა გაკრით და არა აშ-  
კანთ, თვით სოკრატ ფილოსოფოსისაც კი ესუიუ-  
დუ ება იგი: „იყენენ ისეთებაც, რომლებიც სუ-  
ლიერ რსოვრებას აწერდენ სულს, მაგალითად სო-  
გრატა და განსაკუთრებით მისი მოწაფე პლატონი“.  
(გვ. 6)

გომართელს, როგორც ეტყობა, ძალიან  
სწეინს ასეთი სიბრძნე ბერძენთა, ფილოსოფოსე-  
ბისა და შენიშნავს, თითქოს ასეთი მოსახრება  
სოკრატისა მისი სიბრძნის დამამტვიცებელი იყოს.  
ხამდვილათ თუ მეთაფათ, ასეთი სწავლათ და თა-  
ვის ძალიან ზნეობათ არის დასაფასებელი აღნი-  
შნული ფილოსოფოსა. მთელი კრებული შიოფ-  
ლით ბრძენთა, რომელთაც სწეროდათ კარბორი-

ობის წარმატება და ბედნიერება, ამში ქმოებს მ-  
ლელ ღირსებას სოკრატ ფილოსოფოსისას; და  
მართლაც ასეც უნდა იყოს. ხოლო რაც შეეხება  
გომართელის შენიშვნას,—იგი მომაკონებს: კრი-  
ლიკის ანაკს:

Ай моска звать она сильна,  
Что лает на слона!

გომართელის ლექციას გამომცემელი აგრეთვე  
ჭანსძის მოკლე წინასიტყვაობას უძღვინს, რომელ-  
შიაც აღნიშნავს, რომ ლექციამ დიდი შთაბეჭდი-  
ლება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზეო, რაც,  
რასაკვირველია ჩვენს აზრით, გამოისატებოდა ტა-  
შის ცემაში და „კაშას“ ძახილში. მაგრამ ასეთი  
მოქმედებით ხალხის ძინაგრძობის გამოხატვა ბე-  
კრი ვერაფერი სანუთა—ლექციის საფარგლისა.  
ჩვენში ხომ ტაშის ცემას ფასი დაეკარგა, უმეტე-  
სად ამ უკანასკნელ დროს! ისიც უნდა ვიცოდეთ  
ვის იყვნენ ეს მსმენელები.

1906 წელს ქუთაისის თეატრს ეწვია მლო-  
როსიური მასტრუსის ტრუპა. ხალხიც უზომით  
მაწედა თეატრს დანიშნულ დროს და რას ხე-  
დავდით?—სიცნაზე კუბლეტებთ მღეროდნენ: ქუ-  
თაისი მშენიერი ქალაქია, მხოლოდ სასტუმროები  
და რესტორანები ბაღღინჯობით არის სავსეო;  
მასწავლებლებიც კარგი უფილან, თუმიცა ლოტოს  
თამაშის მეტს არაფერს აკუთუბენო; ქალბატ თავის  
სილამაზით მომხიბლავია არიან, თუმიცა ბულვარში  
სეირნობის მეტს არაფერს დასდევნო. უკველი  
კუბლეტის გათაებაზე საზოგადოება ტაშს უკრავ-  
და და „კაშას“ გაიძახოდა, მეორე დღეს დაფაქრ-  
დნენ. ეს რა მოკვირია, ტრუპაშიცა გავლანხდა  
ჩვენ ეი ტაშით და კაშათი დავაფილდოეთო, ეს  
თავის მასხრად აგდებანო და გადასწევიტეს, მეორე  
გამოსვლისათვის კოვულათ ლაფე კვირცხები და  
თავში მიკახლოთო, მაგრამ ტრუპა უკვე წასუ-  
ლიყო.

უკანრავდა ეი ვარ ქუთაისის საზოგადოებას-  
თან, მაგრამ ეს ასე მოხდა და რა გაქნობა!  
უფიქრობთ, ვაი თუ თბაღისის სახალხო უნივერსიტე-  
ტშიც ქვანდა ადგილი ასეთს შემთხვევებს.

ბოდიშს ვისდი, მეთოკველო ჩვენი წერილი  
მეტად გაკვირმელდა, მაგრამ იმდია სულგომე-  
ლებას იქონიებთ, მანათიკობთ და ნებასაც მომ  
ცემთ გომართელისა მწერლების საკულისხმეორად

გაკეთაჲ მათთან კამათი პოეტის სატყუბით:

Не святотетствуй, не грѣши  
 Во храмѣ собственной души.  
 Повѣрь, молиться невозможно  
 При кликахъ суетныхъ и ложныхъ  
 Пустыхъ ничтожныхъ торгашей,  
 Средь пошлыхъ сплетень и рѣчей,  
 Очисти храмъ бичемъ позванія,  
 Всю эту ветошь изгони,  
 Тогда предъ алтаремъ приванія  
 Съ мольбой колѣва преклони.

ივერიელი.

(შემდეგი იქნება.)



### ძარტველი გლეხის შვილი.

„ბნელო“, მოთხრობა მელანასა.

მელანიას მოთხრობა „ბნელო“ ფრიად საყურადღებო და სასარგებლო ნაშრომს წარმოადგენს იმისთვის, ვისაც დიდი სურვილი აქვს შეისწავლოს და გაიცნოს ქართველი გლეხ-კაცობა თვისი ცხოვრებით. მართალია, ეს ნაწარმოები არ არის და ვერც გახდება ეპოპეია სოფელთა ცხოვრებისა. მაგრამ მას შიგ უფრო ნათლად და გარკვევით არის აღნიშნული უმთავრესი ინტერესი სოფლის ხალხისა. და ამ სოფლის ხალხის ცხოვრების სინამდვილით დახატვა ავტორის მიერ ყოველს ექვს გარეშეა. მოთხრობა მთლად და რულებულად ვერ ხატავს სოფელთა ცხოვრებას, ვერ იძლევა სრულად დახასიათებულ და სამკვიდრო ტიპებს. მაგრამ, მაგიკრად, იგიც გაგვაცნობს მთელს ნიადაგს, რომლის სივრცე და არე მარე ძლიერ ეკონტრასტად და გარკვევით არის დასურათებული. „ბნელო“ აგრეთვე ბევრს საეტიმოლოგიურ მასალასაც იძლევა. მაგალითად, მდებრიო ხალხის რწმენანი, შელოცვა-გამოლოცვანი, ზნე-ჩვეულებანი დახატულია მასში გასაოცარის ხელოვნებით. აქ ყოველიფერს თავისებურობის სახე სძევს: ენასაც, ხასიათსაც, ყოფა-ქცევასაც, კარ-მიდამოსაც, ოჯახის მორთულობასაც, სიხარულსაც, მწუხარებასაც, საზნეობო შეხედულობასაც და ხარწმუნოებასაც.

კი. ეს გარდამეტებული ნაწილი ჩვენი ერისა უფრო ამაოდ მორწმუნე და ნახევრად ბარბაროსი ხალხია. და უფრო დედა-კაცთა, ქალეზის წრე წარმოადგენს ამ გვარს სახეს. საერთოდ ყველანი ჩაუყლაპავს ველურს წარმოდგენას და რწმენას, უხილავ ძალის რაღაც გამოურკვეველს შიშს და კრძალვას. თავ-ზარდამცემ შიშს მოუტავს მთელი სივრცე ამ ცხოვრებისა. ვერ წარმოიდგენთ, აგრეთვე როგორ გახუნებული და ერთ გვარია, ერთ ფეროვანი ამ ხალხის ცხოვრებაც.

მაგრამ ეს ერთგვაროვანი და ერთფეროვანი ცხოვრება თითქოს გაურთულებია, გაუფართოებია ერთს ფრიად თვალ საჩინო ელემენტს— შიშს იმ უხილავი ძალისას, რომელსედაც ჩვენს გლეხთა შორის არავის არა აქვრიგიანი წარმოდგენა. ესეთს მდგომარეობას შეუქნია მთელი დასტა, მთელი ტიბიკონი ისეთი მრავლის უმრავლესი საქციელისა, რომელთა ჩადენით შესაძლებელია იმ უხილავ ძალის მომადლიერება, ანუ იმისი რისხვის თავიდაც აცილება... და ამ ერთხელვე გაკვლეულს რიგს ცხოვრებისას, მამ-პაპათა ჩვეულებას შეურყეველი წმინდა კანონის ძალა და ავტორიტეტი აქვს მინიჭებული, რომელიც სრულდება გასაოცარის გულის მოდგენითა და ერთგულებით.— გოგო, რა დაგმართებია, რადა ჰხურამ კარებს? სადამო ხანია, ვაადე, ანგელოზი შემოვიდეს!“—აი, ამ უბრალო კარის გაღებასა, ანუ დახურვასაც თვისი დრო გააჩნია, რომელსაც, უეჭველად, რაიმე კავშირი უნდა ჰქონდეს იმ უხილავ ძალასთან... მე ამოვიღებ მოთხრობიდან ერთს ფრიად საყურადღებო ადგილს, რომელიც ჩვენი თვალის წინ დახატავს მთელს ზნეობის მასწავლებელს მოძღვრებას, რომელსაც უმსხვერპლია სოფლის ქალი და კაცი, მთელი ოჯახობანი სიკვდილისა და წაწყმედისათვის. ამასთანავე ეს გასაოცარა ხელოვნებით დაწერილი ადგილი დაგვიხატავს იმ ოჯახსა და წრესაც, სადაც პატარაობისას, ყრმობის დროს იზრდებოდა თვით მოთხრობის გმირი, ილია თვალთაშვილი. აი, ეს უმეტრებისა, ამაოდ მორწმუნეობისა და ჯადო-ჯარების, კუდიანების ამბავიც:

„—მამულაანთ სახლში,—დაიწყო შამან-  
 ღუხამ სვენებ სვენებით,—დათიამდინ კუღია-  
 ნები არ გამოლელულან... დათიას მამა, პაპა,  
 პაპის—პაპა სუ კუღიანები ყოფილან და და-  
 თაც ხო კუღიანი იყო... დათია მოკვდა, სახლ-  
 ში კუღიანები გამოილიონენ და სარჩო-ღოვ-  
 ლათიც გაქრა... მე ახალი პატარძალი ვიყავ,  
 როცა დათიას მამა მოკვდა. ამჟობდენ, მკვდარს  
 ერთი ციდა კული ჰქონდაო... დათიას პაპის-  
 პაპა ძრიან ღარიბი ყოფილა და სხვას მეცხეა-  
 რეთა ჰდგომია... ერთხელ შუალამისას ცხენით  
 შან მომავლებულა და ბარჯიხევთან რო მო-  
 სულა, ერთი ციკანი დაუნახამ; გამოსდომოდა  
 და ის წყეულიც დაჰქერინებია... შამოუღვია  
 ცხენწინ, გაუვლია ცოტა გზა და ციკანი გა-  
 წეწილლად (ქაჯად) კი გადაქცეულა...“

ყველამ პირჯვარი გადაიწერეს და წამო-  
 სძახეს: „დასწყევლოს სამას და სამა წმიდა  
 გიორგმაო“.

—წამოიყვანა, მიიყვანა შან, ფრჩხილები  
 დააქრა და იმის მალვით კერას ქვეშ ამოდო:  
 ის წყეული არაფერს არას ამბობდა... მისცემ-  
 დნენ კოკებს, წადი, წყალი მოიტანეო, ის კი-  
 დევ წავიდოდა, დაამტვრევდა კოკებს და მო-  
 ვიდოდა... ერთხელ უთხრეს: „წადი ალო,  
 კოკები დაამტვრიეო!“ ალი წავიდა, წყალი  
 მოიტანა... მას უკან სულ ალურად დაუწყეს  
 ლაპარაკი... ჰყვანდათ რამდენიმე ხანი და იმ-  
 სახურებდენ... ერთხელ ყველანი წირვაზე წა-  
 ვიდნენ და შინ მარტო ალი და ერთი რვა  
 წლის გოგო დააგდეს... იმ წყეულმა ჰკითხა:  
 „ქაჯან, ჩემი ფრჩხილები სად არი, მასწავლე  
 და წითელ ზიზიას ჩავაცემო“—ემანდ, კერას  
 ქვეშ არიო“... მაშინვე გამოიღო ფრჩხილები,  
 გაიკეთა და გოგო სულ ერთიანად დაგაზრა...  
 თითონაც გაიქცა... წირვიდამ რომ მოვიდნენ,  
 გოგო სისხლში მობასრული და მკვდარი დახ-  
 ვდათ და ალიც აღარსად იყო...

—იმ უღმერთოებმა აღის სინაბარას რო-  
 გორ გაუშვეს!—წამოიძახა ავადმყოფის დედამ.  
 —აქაურობას კი ჯვარი ეწეროს და, იმ-  
 ლამესვე მივიდა თურმე ალი და სანათურიდამ  
 შაჰძახა: „თქვენამც დაგეწყევლათ ცეცხლი  
 იგრე, რო თავის დღეში აღარ ეენთოსო“... იმ

დღე და მაჰ დღეა, იმათ ცეცხლი აღარ ანთე-  
 ბიათ, სუ ბნელაში ისხდნენ... ი კაცსაც ჩემე-  
 ეკიდა ის წყეული და მოსვენებას არ აძლევ-  
 და; ხან შინ მიუხდებოდა, ხან ფარეხში, და  
 ეძახოდა:

—ი-ვა-ნე!  
 ამ სიტყვებზე ყველამ პირჯვარი გადაიწე-  
 რა. დედაცაც კვლავ განაგრძო:

—ხან გასათხოვარ ქალად მეჩვენა, ხან  
 ბებრად. ხან მაჯლაჯუნად გადაიქცა და ზედ  
 დააწვა—არ აძლევდა მოსვენებას... ერთხელ  
 კიდევ ფარეხილამ მომავლებულიყო შინ  
 ღამე; იმ წყეულებს ფერხული დევათ  
 გზაზე... რო დაინახა ივანე, გაქანდა ის წყე-  
 ული ალი, ჰტაკა ხელი, მიიყვანა და თავიან-  
 თთან ჩააბა ფერხულში... შაისვირდნენ თურ-  
 მე მალლა და მღეროდნენ:

შაქამანდი გაეკეთე უპარილო უფურუ-  
 კიო,  
 შენისთანა ბერი კაცი ეგრე შავაკუნტრუ-  
 შიო...

დაუდგნენ თურმე, ახლა შენ იმღერეო...  
 საწყალს შაჰკროდა შიშისაგან კბილები... შემ-  
 რე, რის ვაი-ვაგლახით ამოიკნავლა თურმე:

წინდა მეცვა ხეშისაო,  
 ქალაქანი მეშისაო,  
 წმიდა გიორგიმ დასწყევლოს  
 ეშმაკების ფერხისაო...

ახსენა თუ არა წმიდა გიორგი, როგორც  
 მიმინოს დანახვაზედ ჩიტები, იგრე გაძვრნენ  
 აქეთ-იქით და დარჩა მარტო ივანე... ბევრი  
 თათრის მოლებიც მოიყვანა თურმე, მისნებიც,  
 მაგრამ ვერაფრით ვერ მოიშორა ის წყეული...  
 მერმე ისევ მისნებს ეთქვათ, რომ მანამ ნატ-  
 რის თვალს არ იშოვნე, არაფერი არ გეშვე-  
 ლებაო... თუ გიშველის, იგრევნატრის თვალიო,  
 თუ იმ წყეულმა ისიც არ შეგიკრაო... მას  
 დღეს აქედ შეუღვა ნატრი თვალი გზას...  
 რომელ გველსაც ნატრი თვალი აქვ, ის ბნე-  
 ლაში ათამაშებს, შაისერის მალლა თვალს და  
 მთელს დუნიას შიგ დაინახავს...

ერთ ალაგს მიავნო თვალიან გველს,  
 უყარაულა და, როცა შაისროდა მალლა,  
 ღურჯი ნიფხავი გადაუგდო და გაიქცა... თვა-

ლი ნიფხავში გაეხვია. გველმა ეძება ვერ იპოვნა და გამოუდგა ივანეს... ქვას, ბალახს, ხეს, ყველასა ჰკითხავდა, ჩემი მტერი საით წავიდაო, და ისინიც ასწავლიდნენ. მაგრამ წყალში გასვლა მოასწრო... როცა წყალთან მივიდა გველი და წყალსაც ჰკითხა, წყალმა უთხრა: „რავიცი, შენც ეხლა მოჰძიხარ და მეცაო“... გველი იქვე წყალში დარჩა. ივანე, კიდევ წავიდა მეორე დილით და ნატრის თვალი წამაიღო... აკი გაუგო იმ წყეულმა და შატურა ისიც...

—ვიშქა?—წამოიძახეს იქ მყოფი და დედ-აკემა-კი კვალვ განაგრძო:

—დარჩა ყელ-გადაგდებული... მემრე მეჩვენა ის წყეული მზეთ-უნახავ ქალად და უთხრა, თუ შემიყვარეფო და შენ შეილი შეილსაც მე დამილოცამო, ცეცხლს აგისნი წყევლასო, ნატრის თვალსაც გავხსნიო და იგრე გაგამდიდრეფ, იგრე, რომ შენ თავს შენვე დანატროდეო... თუ ჩემ ნებას არ დაჰყვები, მაგასაც არ გაკმარებო, გაგაგიფეფო და სადმე კლდე ღრეში გადაგჩეხამო...

ამ სიტყვებზედ ყველანი შიშის კანკალმა აიტანა: იწერდნენ პირჯვარს და სწყველიდნენ სამას და სამის წმიდა გიორგის სახელით.

—იმ თვალ გახეთქილსაც,—დაიწყო ისევ შამანდუხამ,—მეტე რა გზა ჰქონდა! ადგა და მიჰყვა იპი ნებას... იპ დღე და მაჰ დღეა, ცეცხლიც ენთებოდათ და ნატრი თვალმაც დაიწყო მუშაობა... ფქვილის გოდორში ჩაჰდებდნენ, ფქვილის გოდორი ივსებოდა, ქვევრში ჩაჰდებდნენ, სულ პირი გადმოჰდიოდა. ამაობაში სახლმა წამოიწივა წინ და გამდიდრდა... ივანე რომ მოკვდა, ახლა იმისი უფროსი შვილი შაიყვარა. მოჰყვა და დათიამდინ მოვიდა. ვინც ალსა ჰყვარობდა, ნატრის თვალიც იმასა ჰქონდა, სხვას არ უგდებდნენ ხელში... რამდენჯერ გამიგონია ჩემ ახალ პატარძალობაში: „დათიას საფუტკრეში ჩააჰწრეს, ალსა ჰკოცნიდო“, „დათიას ვენახში მააჰწრეს ალთანაო“, „მეიან ალაგას მოაჰწრესო“... ის წყეული თურმე ისეთი იყო, როგორც ამომავალი მზე... ხო იმდენი გამოიკვალა და კიდევ თურმე გა-

სათხოვარ ქალსა ჰგვანდაო... არც დათია, არც სხვები ღამ-ღამე შინ არ იძინებდნენ თურმე, სუალის მუსაიფში იყვნენ და ნატრის თვალით კიდევ საქმეს აკეთებდნენ... კულიანობა ღამეს ტაბაკელაზედ\*) მიდიოდნენ და იქ ქაჯებთანა და ქალატურებთან კატებით ჯირითობდნენ... რომ ივსებოდა და ივსებოდა ოჯახი და ყელამდინ მაიყარა, სხვა ალები წვეკიდნენ, როგორ თუ შენ ჩვენი დოვლათი სხვაგან მიგაქეო, და ჩხუბში მოკლეს... გამწარდა დათია და როგო გამწარდა! სიკვდილამდინ პირი არ მოუბარსნია, სუ გლოვობდა... მოკვდა თუ არა დათია-და ნატრის თვალიც გაჰქრა საითღაც და ოჯახიც წავიდა უკულმა. ეშმაკებმა მიჰცეს ცხოვრება და ისევ იმათვე წაიღეს და ჯალბებიც იმათვე უგდეს.

ამ სიტყვებს რომ ათავებდა შამანდუხამ, ავადმყოფმა (ილამ) ძილში ყვირილი დაიწყო:

— ვაიმე, დედავ, მიშველე!

— რა იყო, შვილო, შენი ქირიმე?—გაეხასუხა დედა.

ავადმყოფს გამოეღვიძა და შესწავიტა ყვირილი. როცა დამშვიდდა, ჰკითხა დედამ:

— რათა ჰყვიროდი, შენი ქირიმე ძილში?

— გუდურაზე ვიყავი სიზმარში და ბრმა დელიდამ ერთი დიდ-კბილება დედაკაცი გამამიდგა, უნდოდა დავეჭირე. ის-კი იყო მიჭერდა, რომ არ გამამღვიძებოდა.

— ჯვარი გწერია, შვილო! ბატონების ანგელოზი ყოფილა და შენი შეშინება ნდომებია,—უთხოა შამანდუხამ...

ამას გარდა, მოთხრობაში არის კიდევ ერთი შესანიშნავი ადგილი (გვ. 86—92), სადაც პიოწმინდათ იხატება სრული გაუგებრობა და უმეკრება ხალხისა. უნდა ითქვას, რომ ეს უმეკარი და ამაოდ მორწმუნე ხალხი ყურმოჭრილი მონა და ტყვე გამხდარა

\*) ხალხსა სწამა, რომ ყველიერის ადების ღამეს და დიდ-ოთხშაბათს ღამეს ყველა კულიანები ადამიანები —ადამიანები უკლავ რები იკრიბებიან ერთს ტრიალ მინდორზედ, რომელსაც ტაბაკელა ჰქვან, და ეშმაკებთან ერთად კატებით ჯირითობენ. ამისთვის ამ დღესაც კულიანების ღამეს ეძახიან.

მელანია;

რადაც უხილავ, საიდუმლოებით მოცული ძალისა, რომელსაც არ უჩანს, არც გაჩენის დღე, არც დასასრული. და ეს სულ ყოველივე რატომ არის ასე? იმიტომ, რომ ხალხმა არ იცის მოვლენათა გაჩენის მიზეზისა არასფერი, არ იცის სხვადასხვა მრავალ-გვარ ძალთა და თვისებათა ბუნება და კანონი. ამოდ შედგენილი აზრი იმ რადაც მიუწდომელსა და უხილავ ძალაზედ სრულიად იპყრობს ხალხის მთელს არსებას და თითოეული ფეხის წინ გადადგმა მისი, სასმელი თუ საჭმელი, გამგზავრება სადმე და სახლიდგან გასვლა თუ სახლში შესვლა, თესლის ყანაში გატანა თუ შინ შეტანა, ქვევრის მოხდა თუ მაზანის აშენება და სხვ. და სხ. მტკიცედ დამოკიდებულია იმ ძალაზედ, უიმიოდ ვერაფერი ვერ იარსებებს და იბოგინებს სოფლის არე-მარეზე. სოფლის მთელი ფალოსოფიაც აქ არის სწორედ. უნდა ვთქვათ, რომ ზოგჯერ ეს ძალა ისეთს გასაოცარსა და მოულოდნელს ჩაბეჭდილებას მოახდენს ხოლმე ხალხზედ, რომ მას სრულიად უკარგავს გრძობა-გონების ნატამალსა და ნახირის ჯოგს ამგავსებს. ეს მიუწდომელი კეთილი, თუ ბოროტი ძალა არის ყოველის უპირატესი, უძლიერესი და უადრესი არსება, რომლის სამსახურსა და მონებაში ატარებს თვის სიცოცხლეს უმეტარი ხალხი და, ამგვარად, ჩვენი სოფლელთა ყოველდღიურ ცხოვრებას არბევს და ათარეშებს.

ბომლელი.

(შემდეგი იქნება.)

**ღია წერილი იმერეთის სამღვდელთაბას.**

29 აპრილს იმერეთის სამღვდელთაბის კრება სხვათა შორის განიხილავს სასულიერო სასწავლებლის შენობის შეკეთების საკითხს, მაგრამ მარტო შენობის შეკეთება რას მოუმატებს საწყალ ბავშვებს თუ შინაგან ცხოვრებასაც არ მიექცა ყურადღება.

მე ვფიქრობ, რომ არსად დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება ისეთი სასწავლებელი, გარდა ქუთ, სას. სასწავლებლისა, სადაც წე-

ლიწადში სამჯელ და ოთხჯელ იცვლებოდეს ან უფროსი ან მასწავლებელი! ჰკითხეთ თქვენ შეილებს და გეტყვიან: „არ ვიცით ეგზამენში როგორ მიუგოთ ესა და ეს საგანიო; ერთმა სხვა ნაირად გვასწავლა, მეორემ სხვა ნაირად; ერთმა ეს გამოგვაშობია, მეორე მოვიდა და ეს რათ გამოუშვით მე მიყვარსო, ეს რისთვის არ გამოუშვით საჭირო არ არისო. არ ვიცით ღმერთმანი, რა უნდა ვიცოდეთ ან ეგზამენში რა მივუგოთო“. გაკვეთილები რამდენი სცდება ამ გადაყვან-გადმოყვანით, ყველა შეამჩნევდა, ვისაც გორაზე რამე საქმე ჰქონია და ამოსულა; ისეთი დღე მგონი არ უნდა იყოს, რომ რომელიმე კლასის ბავშვები სწავლის დროს გარეთ არ თამაშობდნენ.


მერმე იცით რისთვის ხდება ეს? იმისთვის, რომ ყველას უნდა რაც შეიძლება კარგი ადგილი იშოვოს და ამისთვის ქუთაისის სასწავლებელი უებარი წამალია. გასდისთ და რა ენაღვლებათ აქაურ უმფროსებს—თავი მოწამეთაც გამოიყვანონ და ადგილიც კარგი იშოვონ. ზოგმა სთქვა: ხანჯალი დამარტყეს თავში და არ გაქრაო; ზოგმა რევოლვერი ვერ მომარტყესო და სხვა ყველა ესენი დაიჯერეს იმათ ადგილი მისცეს, ქ. ქუთ. სასწავლებელში კი კაცის მკვლევლები დასვეს და ყველას მოკლავენ, ვინც რუსი მოვა.

ავიღოთ უკანასკნელი ამბავი. ნახევარი წელიწადი არ არის, რაც ზედამხედველის თანაშემწე (ინსპექტორ) მოვიდა; ჯერ ის ბავშვებს კარგათ არცკი გაცნობია და საღლაკ კი წავიდა. წავიდა რასთვის? იმისთვის, რომ როგორც ჩამოვიდა ამბოადა: „მე აქ იმიტომ წამოვედი რომ სალდათობა ამეცდინა. თორემ არსად გაჩერება არ შემიძლია პეტერბურგს გარდა“-ო. სწორეთ კარგი ადგილისთვის მიუგნია. აქედან თუ მისცემენ პეტერბურგში ადგილს, თორემ ისე რას გახდება.

გაიარა პატარა ხანმა და დაიწყო კადეც: „მე აქ მწამლავენ, ოთახში საწამლავეს მისხამენ, უნდათ, რომ მომკლანო. სახურავზე ადიან, სიარული მესმის, და იქიდან ფეხის ტრუბაში უშვებენ საწამლავესო (ნახეთ შუა კარიდოროში ფეხის ტრუბები). ვილაკებები დავინახე, ჩემთან

მოდიოდენო“ და წავიდა კიდეც (კარგათ კი ჰქნა, ბოვშეებისთვის ვერაფერი მაგალითი იყო). ის რასაკვირველია პეტერბურგში ჩაბრძანდება და რასაც იტყვის, ყველამ ვიცით; თუ იღბალი აქვს ეხლა მისცემენ პეტერბურგში ადგილს.

მე ვფიქრობ, არ იქნება ცუდი, რომ ამ გარემოებებს სამღვდლოებამ მაინც მიაქციოს ყურადღება, დაადგინოს კრებაზე: ეთხოვოს მთავრობას, რომ ისეთი კაცები გამოგზავნოს აქ, ვისაც საქმის გაკეთება უნდა (და არა ლოთობა), ვისაც აქ დარჩენა უნდა თუ მეტი არა ერთი ორი წელიწადი მაინც და როდესაც თავის გასაბედნიერებლად ასეთ ლეგენდებს სთხოვენ ნუ დიუჯერებს მათ მთავრობა მანამდის, სანამ საქმე ადგილობრივ არ გამოიძიოს და თუ მართალი იქნებიან ღმერთმა გზა ხსნილი მისცესთ.



ვ. შარაბიძე.

**სახარების სიღიაღე.**

და სთქვა იესომ მორწმუნეთა მისთა: უკეთუ დაადგრებით სიტყვათა ჩემთა... იცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება განათავისუფლებს თქვენ.

(იოან. 9 თ. 31—32 მ.)

არის ყველასაგან ცნობილი ნაკვესი, რომელიც ამბობს, რომ ყოველი ადამიანი თავის ბუნებით ფილოსოფოსია. ამ ნაკვესის აზრი ის არის, რომ ადამიანმა, როგორც გონიერმა და მოაზრე არსებამ, რაც უნდა განვითარების დაბალ ხარისხზე იდგეს ის, არ შეიძლება არ მისცეს თავის თავს ზოგიერთი საკითხები, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტა შეადგენს მის მისწრაფებას—შეიტყოს უმაღლესი ჭეშმარიტება, ესე იგი ფილოსოფია. ეს არის საკითხები ცხოვრების აზრზე და ადამიანის მნიშვნელობაზე.

„ეჰ, ამისხნით მე ცხოვრების გამოცანა, ეს საშინელი და მუღმივ ძნელი საკითხი, მსწრაფელ მიბასუხეთ, რა არს საიდუმლო საუკუნისა? და ან რა არის არსებობა ცოცხალ კაცისა? რა არის იგი? საით ისწრაფის, და ან

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავთა ზევით?..“ ასე იმუდარება ქაბუკი ჰენეს ცნობილ ლექსში. ეს ქაბუკი მთელი კაცობრიობის სიმბოლოა და იმისი საკითხები, თუმცა ძველია, მაგრამ მარადის ახალ საკითხებად რჩება ყველა მოაზრე ადამიანთათვის. იმათ ახსნაზე წვალობდენ და წვალობენ ყველა ქვეყნის და დროის ადამიანები. იმათზე წვალობს მრავალ ხალხთა ბძანებელი მძლე მეფე; მუდამ იმათზე ფიქრობს თავის გაქირვებით მორჩენილ ყანაში გუთნის უკან მოჩანჩალე მუღმივ მშრომელი მხენელ მთესველი. იმათ გადაწყვეტას გულისხმიერებით ცდილობს ქვეყნისაგან ქებული დიდებული ბრძენი, გენიოსი სწავლული, ამათხვევ თავს იტებს ხებრე ველური, ტყეთა და უღაბნოთა გულუბრყვილო შვილი, რომელიც გრძნობს თავის თავში დიდი სულის გაურკვეველ ხმას.

გონების და გულის ამ მუღამ გაუგებარ საკითხთა ასახსნელად ჯერ კიდევ ძველ დროში საუკეთესო კაცების მიერ სიბრძნით განთქმულ ელლადამი, ეგვიპტის პირამიდების ჩრდილს ქვეშ, ფართო განძის ნაპირებზე, არაბეთის სუსხიან ცის ქვეშ კლდეთა ქვებზე, პაპირუსის ფურცლებზე, რკინის დაფებზე, თხის და ცხვრის ტყავების ნაჭრებზე იყო დაწერილი მრავლად მრავალი დიდი წიგნები, ცალკე აზრები, ყოველგვარი კანონები, წესები და დარიგებები. ასობით დიდი გონების პატრონი ადამიანები ყოველივე ღონისძიებას ხმარობდენ, რომ გაეხსნათ ცხოვრების დაბეჭდილი წიგნი და აეხსნათ ცხოვრების ძნელი გამოცანა, მაგრამ ცხოვრება წინანდებურად, როგორც სფინქსი, ჯიუტად ფარავდა თავის საიდუმლოებას. იესო ქრისტეს დრომდე საძიებელ ჭეშმარიტებას, თითქოს ის დამალული ყოფილიყოს, ადამიანი ვერ პოულობდა, რადგანაც ის არ ეძიებდა იმას იქ, სადაც იყო ის.

ადამიანები ცნობილობდენ, რომ იმათ არ შეუძლიათ თვინიერ უმაღლესი არსებისა წარმოიდგინონ თავის თავი და ქვეყანა; მაგრამ ძველ ქვეყანას ღვთაება წარმოდგენილი ყავდა დამახინჯებული სახით. წარმართთა ძველმა დრომ თავის ორმოცი საუკუნის კულტურული განვითარების განმავლობაში ვერ შესძლო

ფიზიკურ სამყაროს გაცილებდა. ძველ ხალხთა სარწმუნოებრივი მსოფლ-შეხედულება ღმერთს ეძიებდა სამყაროს სხვადასხვაობაში: ცის ვარსკვლავებში და მიწის ძალებში; ქედს იხრიდნენ გმირების ღიღების წინაშე და შერიცხავდნენ იმათ ხოლმე ღმერთთა კრებულში. ღვთაების იდეა აქ დადაბლებული იყო უკანასკნელ ხარისხამდე. ღვთაებამდი ამაღლებისათვის ადამიანს არ ეთხოვებოდა ზნეობრივ ძალთა მუშაობა. ღმერთები ადამიანის ვნებების თანაზიარად იყვნენ გამოყვანილნი. ქსენოფონტე კოლოფონელი ღრმად აღშფოთებული იყო იმით, რომ ყველა ხალხი ქმნიდა ღმერთებს თავის მსგავსად. „წითელი და მტრედის ფერ თვალებიანი ღმერთები ყავდათ ფრაკიელებს, შავი და ცხვირ-პაქუა—ფეიოპებს.“ ამაზევე დაცინვით ამბობს ჩვენი ფილოსოფოს-პოეტა: ხარბმა, ცხენებმა და ლომებმა რომ იცოდნენ ხატვა ან ქანდაკება, ისინიც კი თავის მსგავსად გამოხატავდნენ ხოლმე ღმერთებს და მისცემდნენ იმათ იმ სხეულს, რომელშიდაც თიჯონ არიანო. ცხადია, რომ სარწმუნოების ასე უხეშად გაბუნებრივება (ნატურალიზმი) მიიყვანდა იმათ ასეთვე მოუხეშავ მორალამდე. გამონაკლისს შეადგენდა ფილოსოფოსთა მუქა, რომელნიც უარყოფდნენ ხალხის მითოლოგიას; მაგრამ ფილოსოფოსები იბრძოდნენ მხოლოდ ღვთაების ადამიანის სახით წარმოდგენისა და მრავალღმერთიანობის წინააღმდეგ და ქადაგებდნენ ერთი ღმერთის შეცნობის მიუცილებლობას. თვით ღვთაებაზე კი არ იძლეოდნენ ისინი გარკვეულ ცნობას. ჩვენ ყველანი ღვთაებრივ საქმეში უძლეურები ვართ, — ამბობდნენ იგინი და არც ვიცით რაიმე; ღვთაების ცოდნა ადამიანისთვის დაფარულია.“ ქსენოფონტი ტყდება: ყველა ჩემი სიტყვები ღმერთზე მოკლებულია სრულ ქეშმარიტებას, ქეშმარიტების გრძნობიერება ჩანერგილი იყო ცხოვრების თვით წყაროში და შუაწერტილში — სარწმუნოებრივ წარმოდგენებში. ძველი ქვეყნის სარწმუნოების ასეთი გაბუნებრივება, მისი ასეთი მგრძნობიარე ხასიათი უფრო ხელს უწყობდა ადამიანში დაბალი მისწრაფებათა განვითარებას, ვინემ იმათ უარას ყოფას და წინააღმდეგობის გაწევას. ამიტომ,

როგორც თვით სარწმუნოება იყო ბუნების ძალთა გაღმერთება, ისე ზნეობის მოთხოვნილება-ნიც იყო ადამიანის თანდაყოლილ მოუხეშავ ინსტინქტების დაკანონება.

ხალხთა შორის სუფევდა ცხადი შური. ეგვიპტელი თავის პირამიდების წვერიდან თავხედური მედიდურობით გადასცქეროდა ყველა ახლომელ ქვეყნებს, აბრაამის ტომი — ებრაელები თავის თავს ღვთისაგან გამორჩეულ ხალხად სთვლიდა და სხვებს, როგორც ღვთისაგან გარისხულებს, ზიზღით უყურებდა. განათლებული ბერძენი სხვა ქვეყნების მკვიდრთ ბარბაროსებათ სთვლიდა. სასტიკი რომაელი კი ყველა იმათ ისე უყურებდა, როგორც თავის ხმლის კანონიერ ნადავლს. საერთაშორისო ურთიერთობას საფუძვლად ედო მოუხეშავი ძალმობრეობა და უადაშიანო სისასტიკე. დამორჩილებულ ქვეყნების მკვიდრთ მონებათ აქცევდნენ ხოლმე და მიუხედავთ იმათი განათლებისა, ნიქისა და საზოგადო მდგომარეობისა, იმათ აყენებდნენ გამარჯვებულების მუშა პირუტყვების მდგომარეობაში.

ე. ჩ.—ძე.

(შემდეგი იქნება.)



**აქთაისში აკაკის დღესასწაულზე დასწრე ქაქუჩა გლეხის ნაპოვობი.**

(გაგრძელება.)\*

წირვას მოაბეს პარაკლისი და სულ აკაკის მშვიდობის და დღეგრძელობისთვის ლოცულობდნენ. პოი, შვილო, კაციც იმას ჰქვია და ქუდიც იმას ხურავს, ვინც ასე ყველასაგან საყვარელი და პატივსაცემი იქნება. ლოცვის გათავებისას ისევ იმავე ნასტავლებმა მოჰკიდეს ხელი აკაკის და წაიყვანეს გარეთკენ. — ტაძრის ყველა კარები დაადეს, ხალხი აქეთ-იქით მიაწყდა და ეხლა ყველა მალე გარეთ გასვლას ისე სჩქარობდა და ნატრობდა, როგორც წინეთ შიგ შემოსვლას, რათა შეეხედოთ რაფარი ცუდ-მონიით წაიყვანებდნენ აკაკისა. გარეთ ხალხა

\*) იხ. „შინაური საქმე“ № 15.

ზღვასაკით იღვა და არსად ნემსის კურწიც არ ჩაეტეოდა ისე იყო საყდრის მოედანი და მისი მიდამოები გაქედლილი ხალხით; ყველანი ქვედა კარებისკენ იტკირებოდნენ კარებთან ბაირადე-ბიანი კაცები იდგნენ, რომელნიც გამოუძღვ-ნენ აკაკის და მიიყვანეს ფაიტენამდე, რომე-ლიც საგანგებოთ მისთვის იყო დაქირავებულ გაჩერებული იქ, მეფაიტენეც და ცხენებიც რომ შესაფერისი გამოეჩინათ: გძელ წვერა და წა-მოსადეკი კაცი იყო მეფაიტენე, თეთრი ცხენე-ბი რაშს მიავადნენ, ჩაჯდა თუ არა ფაიტონში აკაკი, მეფაიტენემ სადაკვებს მოსწია და ცხენები ახტენ-ასეკვავდნენ, თათქოს ისინიც ხვდებოდ-ნენ ვინ და რა კაცი უჯდებოდა მათ. დაუკ-რეს დაფაზურნას, გააფრიალეს ბაირადეები და ამნაირად გაუძღვნენ აკაკის ფაიტონს წინ, გულვარდის გვერდზე დაუყვეს, გზებზე ტევა არსად იყო, ხალხი ერთიერმანეთს ეჯახებოდა და ეკვროდა და ისე დაედევნენ იმ ცერემო-ნიას; ბევრი ჯიგლიფი და გვერდების მტვრევა გამოვიარე იმდენ ხალხში, მარა თქვენ არ მო-უკვდეთ ქაქუჩას მე იმას არ შევზინებოდე; დე-ვილს თავი მანამდის არ დავანებე სანამ აკაკის დანახვა კი შეიძლებოდა. რაღაც ტრიატრი უოფილა, კაცი, დიდი შენობაა, „კამენდიებს“ თამაშობენ ხოლმე შიგაო, სთქვეს. იქამდის მიიყვანეს ფაიტენით აკაკი და მერე გააჩერეს, აკაკი ფაიტენიდან გადმოხტა, შესავალში სუ-როს ფოთლების ოთახი იყო გაკეთებული, იქ დახვდნენ მომღერლები აკაკის და მრავალეამი-ერის სიმღერით შეუძღვნენ თრიატრში.—ბევ-რი ვიხვნახვალე, ბევრს ვეცადე მეც თრიატრ-ში შესვლას, მაგრამ ვერაფრისა გზით ვერ მო-ვახერხე. მგონი იმ წამს ნახევარ ჩემს საცხოვ-რებელზე ავიღებდი ხელს, ოღონდაც იქ შესე-ლის და ამბავების მოსმენის ღირსი გავმხდარი-ყავი; მაგრამ მე კი არა ბევრი დიდი ბობოლე-ბი და ტუზები გარეთ იყვნენ ატუზულნი, რად-გან ბილეთი ვეღარ ვშოვნათ. კაი ხანს ვიყავი იქ ყურადგდებული, შიგნიდან ისმოდა ტაშის ცემა და ვაშა, ვაშას ძახილა. გარეთ ბევრი ხალხი იყო და ყველა ისე გამხიარულებული იყო თითქოს აღდგომა დღეა და ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავენო, ალაგ-ალაგ გაზე-

თებს კითხულობდნენ, ალაგ კი ისე ლაპარა-კობდნენ და საგანი მათი ლაპარაკისა სულ აკა-კი, და ისევ აკაკი იყო, პირველად თურმე აკა-კის გამოუჩენია შავი ქვა ქიათურაში და ამა-ზედაც ლაპარაკობდნენ და ბევრს მისს საქებ საქმეებს ამბობდნენ, მარა მე ვეღარ დავიმხ-სოვრე,—მზე ახალი ვადახრილი იქნებოდა, როცა თრიატრიდან ხალხი გამოვიდა; ყველა-ნი სიამოვნებით და აღტაცებით ამბობდნენ: ამაზე უკეთესს სანახავს და უკეთესს გასაგო-ნარს ვერც ნახავს და ვერც გაიგონებს ადამი-ანიო. გამოვიდა აკაკიც, რომელიც ისევ სიმ-ღერით და ვაშას ძახილით ჩააჯინეს ფაიტონ-ში, მარა ცხენების მაგივრათ კაცები შეებნენ ფაიტონს და ისე წაასვირნეს საღდაც ქვედა ხიდისკენ სადილის საქმელათ.—იმ საღამოს კი-დეც ისე-ივე ამბავები გაუმართეს აკაკის, მეც კიდევ ბევრი ვეცადე, ბევრი ვიყურყუტე, მაგ-რამ არ იქნა, ვერ მოვახერხე შესვლა ი თრი-ატრში, ძლიერ გული მწყდებოდა, მარა თავს იმითი ვანუგეშებდი, რომ ამბობდნენ მეორე დღესაც იქნება ასეთივე ამბავებიო და ვიბედოვ-ნებდი უსათუოდ მაშინ მაინც შევალ, რადგან ამდენი ხალხი აღარ იქნებათქო. საყიდლებიც მქონდა კიდევ დარჩენილი და ერთი ანდაზის არ იყოს „მამიდასაც ვნახავ და კვიცსაც გავ-ხედნი“, გადავსწყვიტე საყიდლების მოღვეა-მოთავება და თრიატრში დღესასწაულზე დას-წრებაც.—ორშაბათ საღამოს აუარებელი ხალ-ხი მოგროვდა ისევ იმ შენობასთან და გარეთ ყურობდნენ აბა როდის მოვა თავისს ბინიდან აკაკიო. მე სანთლის პეპელასავით ხან ერთ კართან გავჩნდებოდი, ხან მეორესთან, ხან ერთ-გან ავიტუზებოდი, ხან მეორეგან, ეგებ რამე-ნაირად შევიპყრო შიგ და ან ვინმეს შევყვე მალულითქო, მარა ჯერ ერთი იქაურობა ათას-ნაირი ჩირადდებით იყო გაბრდილალებული, და მეორეთ კარებში იდგნენ ბილეთის მომ-თხოვნელნი, რომელნიც თითო-თითოთ უშვებ-დნენ თრიატრში ბილეთებიან ხალხს და რითი-ლა შეიძლებოდა ჩემი შეპარვა? თქვენც იცით ჩემო ძმებო, რომ მე ხარბი კაცი არა ვარ, მარა უნდა სიმათლე ვსთქვა მაშინ კი ვიგვრ-ძვენი შური, მეხარბებოდა, რომ სხვებს ბილე-

თები ჰქონდათ და არხეინად შედიოდნენ შიგ და მე კი არა, რომ ვერ გავიგე დროზე სად იყიდებოდა ბილეთები, თორემ ერთ მანეთსა არ დავიშურებდი იმის ყიდვისთვის, მორიღებით და მოკრძალებით ვიდექი ბილეთებიანთა უკან და როცა ჩამოთავდა ჩემ წინ მდგომარე ბილეთებიანი ხალხი, ახლა მე შივიქენი წინ მდგომი, მაგრამ ფიქრობდი რაპირით დავინახო მეკარეებს მეთქი; მარა არკი, იპრიანა მენმა ბედმა, თვალი შემაღლეს იქ ზოგიერთმა ნასტავლმა კაცებმა (რომელთაც ამ საქმეში ხმა და ვასავალი ჰქონდათ), რომ ასე ქალამნებ-პაიქებიანი ვიდექი იმათ წინ მითხრეს, მოდი. მოდი აქ ბაბუა, შენ გეტყობა შორიდგან მოსული კაცი ხარ და ამიტომ პატივსცემთ და უბილეთოთ შეგიშვებთო შიგაო; ამის გაგონება ჩემთვის „ქრისტე აღსდას“ ხმა იყო; მომკიდეს ხელი, ერთ კიბეზე ამიყვანეს და შიგ თრიათრში ამომაცოფინეს თავი, თრიათრი ორ ეტაჟიანი ყოფილა, მე ზედა ეტაჟში ამიყვანეს, სადაც ხალხით იყო სულ გაქედლი, ასე მეგონა ყველა შემომჩერებაა და მაკვირდება, რომ უბილეთოთ და ხამათ ვარ შემოსულითქო და პირველად განძრევასაც ვერ ვებდავდი, ერთი ალაგს გავექვავდი; მერე რომ შევატყვე, არავინ მაკვირდება, ჩემს გარდა სხვა საქმე და სალაპარაკოც აქვსთქო, და მასთან ბევრი ძირს გადაჩერებოდა. მეც თან და თან გაეთამამდი და ნელნელა ვიწყე წინ წინ ჩოჩება და ბოლოს იქ მივჩოჩდი, სადაც ხალხი ქვეშ გადასჩერებოდა, გადავიხედე და რას დაინახავ, ურიცხვი ხალხი სკამზე ჩამწყრივებული და ჩამჯდარი იყვნენ, მერე ვინ გინდა იქ არ ყოფილიყოს; ჩინიანი და უჩინო, რუსულად გამოწყობილი და ქართულად, ქალი და კაცი, ბებერი და ყმაწვილი, ყველანი ჩუმ-ჩუმად მუსაიფოდნენ და არა ისე ხმაურობდნენ და ყვიროდნენ, როგორც ჩვენ ვიცით ხოლმე თუ ორმა და სამმა მოვიყარეთ თავი, წინ დახატული კედელი მოსჩანდა, რომელიც თურმე ტილოს ფარდა ყოფილა როგორც შევიტყვე. აკაკი არსად სჩანდა და ეს ძალიან მაკვირვებდა, მაგრამ აი ასწიეს ზევით. იმ დახატულ ტილოს კედელს და შეიქნა განუწყვეტელი ტ-

შის ცემა და „ვაშას ვაშას“ ძახილი, ეს იყო ნიშანი იმისი რომ აკაკი მობრძანდა და გაიგეთ ყველაშო, შემოუძღვნენ მომღერლები სიმღერით და ერთის ამბით აკაკის. ფარდას იქით თურმე უშველებელი დარბაზი ყოფილა. შემდეგ დიდის ალტაცება — სიხარულისა აკაკი იქვე დაბრძანეს მისთვის საკუთრად გაკეთებულ ადგილას იმავე დარბაზში და ამის შემდეგ გაიმათა „კამენდია, წარმოდგენები. მე იმას ვერაფერს გავიგებდი, რომ ჩემს გვერდში მცოდნე ყმაწვილები არ ამდგარიყვნენ და იმათ არ აეხსნასთ ჩემთვის: პირველად გამოვიდა ერთი ყმაწვილი კაცი მდიდრულად ქულაჯაში გამოწყობილი და რალაცებს ლაპარაკობდა, მერე ვილაცამ სალაპურთ დაუკრა შორიდგან, და ეს ძალიან გაუკვირდა იმ ყმაწვილს, მერე მოხუცი შემოვიდა ვილაც და იმას ყმაწვილი გამზრდელს უძახდა, მე ესენი სულყველაფერი თვალთმაქცობა მეგონა და არ მჯეროდა თუ მართლა აღამიანები იყვნენ, მარა იქანა ამიხსნეს: რომ ამ წარმოდგენას „პატარა კახი“ ჰქვიან, ერეკლე მეფის ამბავია შიგ გამოყვანილიო და აი იმ აკაკის დაწერილ შედგელიაო. ის ქულაჯიანი ყმაწვილი ერეკლე მეფეს ნიშნავს, როცა ის 17 წლის იყო და მტრები მოიგერიაო და სხვ. ამის შემდეგ სხვანაირად მოაწყვეს დარბაზი და სხვანაირი წარმოდგენა გამართეს, მარა ისეთი სასაცილო იყო ისეთი, რომ კუჭი აღარავის შერჩა სიცილითა, იმდენი იციანეს, ვილაც იმერელი ბიჭი ლაქიასავით იყო, გოგო უყვარდა და შეცდომით ხან ქალბატონს აკოცა ხოლმე და ხან სხვა სტუმარ ქალს, სხვაც ბევრი რამ სასაცილო იწარმოეს, მარა მე არ შემიძლია მისი მოყოლა, ხან ხტიროდნენ, ხან იცინოდნენ, ხან ჩხუბობდნენ და ხან რას არ შერებოდნენ ამ წარმოდგენას „ბუტილობა“ ჰქვიაო, მითხრეს და ესეც აკაკის გამოგონილ-შედგენილიაო. რითი მოიგონებენ თქვენი ჭირიმეთ ამდენ ამბავებს, და მართლაც რა ყოფილა ე აკაკი, რომ ყველაფერი იმისი დაწერილი ყოფილა? ან კი მეტი რა ეგონებათ, ხენა არ აწუხებთ და თესვა-თოხნა და მე შენ გეტყვი ხელები ჩვენსავით არ ჰქონდესთ მუშაობით დახეთქილ-დამსკდარი! ეს რომ ვაა-

თავს ჩამოუშვეს ფარდას. მერე ისევ ასწიეს და ახლა სხვადასხვა ტანისამოსში მუშურად ჩაცმული ხალხი გამოჩნდა, ზოგს ნამგლები ეპარათ ხელში, ზოგს ცელი და ზოგს თოხები და ისე იმღეროდნენ ნადურს. ქეციცკვეს-გურული სიმღერაც სთქვეს, მეგრულიც და კახურიც. — ბოლოს დაემწკრივნენ ოციოდე ნასტავლი კაცი, ერთი ქე უკამანდრებდათ რაღაცას და ხან ერთ გამოიყვანდა სალაპარაკოთ აკაკისთან და ხან მეორეს და ხან მესამეს და სხვ. კაი კაი სიტყვებს რომ ამბობდნენ ყველანი ამას ქე ვხედებოდი, მარა მთელი აზრი იმ ქადაგება სიტყვებისა ვერ გავიგე და ვერც დავიმახსოვრე. მხოლოდ ერთი დაბალი ტანის მოხუცის ლაპარაკი უფრო დამანახსოვრდა, იმანაც ერთობ ბევრი გვაცინა ყველა და თვითონ აკაკიმაც ბევრი იცინა. ის თურმე სადღაც სკოლაში მასწავლებლად ყოფილა და ძან ნასტავლიც არისო. გამოვიდა ერთი რაღაც შიირი სთქვა (ისიც აკაკის დაწერილი ყოფილა) პურის მკის დროს ხომ ვიცით ხოლმე ჩვენ ჰოპუნა, ჰოპუნა, ავხე, ავხე და სხვ. იმისთანებს ამბობდა ლექსში, ნამგალიც ახსენა, თაბაგარიც, შორაპანი და იმერელი. ამ თქმაში ხან ჩვენსკენ იზამდა პირს და ხან აკაკის მიაჩერდებოდა და ისე ხტოდა იმ თრიატრის მოედანზე თითქოს მართლა თაბაგარი ვინმე არის და ხედაბუნში პურს მკისაო.

ქეციცხელ-საბაჟოელი.

(გავრძელება იქნება).



X

**შემოწიკრულება.**

ახლად დაარსებულ სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობის სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო საწევრო შემოწიკრულებანი: 1) ყოვლად სამღვდლო ლეონიდესაგან 10 მანეთი; 2) ყოვლად სამღვდლო დავითისაგან 50 მანეთი; 3) ივანე სუხაშვილისაგან 3 მანეთი. ყოვლად სამღვდლო ლეონიდემ 10 მანეთი მარტის

თვეში შემოიტანა ძმობის სასარგებლოდ და აღუთქვა თვეში თითო თუმნის შემოტანა ერთი წლის განმავლობაში.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მხაფლიძე**,  
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

**ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**ვამზადებ შეგირდებს**

ყოველ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისთვის.

ადრესი იკითხეთ ვაზ. „ზინაური საქმეების“ რედაქციაში.

**გამოვიდა და ისყიდება**

პირველი სერია სამეურნეო წიგნებისა  
**აზრეუშუმის მოკლა**

ნ. მკურნალისა.

ფასი 3 კ.

**დაიბეჭდა და ისყიდება**

ახალი წიგნი ძღვ. მ. კელენჯერიძისა: თეორია სიტუაციებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატიკა — მისივე I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.

იკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვიციანიძესთან და ვ. ბუქუნიშვილთან, თბილისში წერეთლის სასოციალურებში.

